# სახალხო გაზეთი

№ 880 — შაბათი, 27 აპრილი 1913 წ. — № 880

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ფასიანი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



### მიიღება ხელის-მოწერა
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

უცხოეთის მწერლები — კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა და ჰენრ. სენკევიჩის თხზულებები.

ქართველი ერის ისტორია — პროფ. ივ. ჯავახიშვილისა. სურათებითა და საქართველოს რუკით.

### სურათებიანი დამატებით
(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, დამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ადგილზე ისე ადგილს გარედ).

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემიები „უცხოეთის მწერლები“ და „ქართველ ერის ისტორია“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. უნდა გადახდილი იყოს 1 ენკენისთვემდე.

(საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.)

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.



კვირას, 28 აპრილს,

### არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალების მე-40 დღეს, დიდუბის ეკლეს. გალავანში, განსვენებულის საფლავზე, დილის 11 საათზე, გადახდილ იქნება პანაშვიდი. 1176



ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დიდუბის ეკლესიაში, კვირას, 28 აპრილს,

### არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალების მე-40 დღეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. 1177.



**ტფილისის ქართველ მუშათა ჯგუფი** აუწყებს ამხანაგებსა და თანამოაზრეებს, რომ კვირას, 28 აპრილს დილის 11 საათზე დიდუბის ტაძარში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის

### არჩილ ჯორჯაძის

სულის მოსახსენებლად.



**ოლგა სპირიდონის ასული ჯაბადარი** გულითადის მწუხარებით აუწყებს სათესავთა და ნაცნობთ თავისი ძვირფასი მეუღლის ნაფიც ვექილის

### ივანე სპირიდონის ძის ჯაბადარის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე, განოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლში. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 251



**ნინო სპირიდონის ასული, მიხეილ აკობის ძე და გაიანე მიხეილის ასული ქართველიშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—დაუვიწყარ ძმისა, მეორე—ცოლის ძმისა და მესამე—ბიძის, ნაფიც-ვექილის

### ივანე სპირიდონის ძის ჯაბადარის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე, თავად-აზნაურობის სახლში, განოვის ქუჩაზე, გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 252



მეუღლე **ანნა ელიზბარ თულაშვილის ასული გარსევანაშვილისა**, შვილები: **ალექსანდრე და სალომე გარსევანაშვილები, ანასტასია ალექსანდრე გარსევანაშვილის ასული რობაქიძისა და სიძე სერგეი ისიდორეს ძე რობაქიძე** ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც დეპეშით, წერილით და ან პირადად თანაგრძნობა გამოუცხადეს მათ მწუხარებაში **ალექსანდრე სიმონის ძის გარსევანაშვილის** გარდაცვალების გამო. 1178



### დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მებრაბიანცი
### წამლობა ჭლექისა.
იღებს შინაგან სნეკ. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინით, რძდის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და სად 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდ. ქ., ზუბუთოვის ქ., № 73 (განოვის ქ. კუთხე). ტელეფ. № 7—93. 97

დილის 9—10 ს. ღარიბებისა მიღება უფასოა.



ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 28 აპრილს, უკანასკნელი წარმოდგენა. კვირას, 28 აპრილს, ქართ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ გაზაფხულის სეზონის დასამთავრებლად წარ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა, 5 მოქ. დრამა **ვასილ ყიფიანისა**

### სამეგრელოს მთავარი ლევან.

სამეგრელოს მთავარი ლევანი—ვალერიან გუნია. დადოფალი—ნ. დავითაშვილი. დარეჯანი ა. ქორძაძე. **მონაწილეობს მთელი დასი. დასაწ. სწორედ საღ 8-ნახ. ს.** ადგილების ფასი დაკლებული. რეჟისორი **ვალ. გუნია.** 17[illegible]



### ქართული თეატრი
შაბათს, 27 აპრილს, 1913 წ. გაიმართება

## ქართული კონცერტი

**ტფილისის ფილარმონიული ქართული საზოგადოებისა.**

I განყ. სიუიტა „ივერია“ მ. მ. იპოლიტოვ ივანოვისა, შეასრულებს „ახალი კლუბის“ გაძლიერებული ორკესტრი.

II განყ. მე-3 მოქმედება ქართული ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ ზ. პ. ფალიაშვილისა. ლიბრეტტო პ. მირიანაშვილისა.

III განყ. ა) ქართული ხალხური სიმღერები და solo ქალ-ვაჟთა ხოროსათვის და ორკესტრისათვის.
ბ) ნაწყვეტები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

მონაწილეობას იღებენ: ქბ. კოლოტოვისა, პრესინსკისა, კოვალენსკისა, ბ. ბ. გოფმანი, დუგელი და ავასოვი. **ქართული ფილარმონიული საზოგადოების** გაძლიერებული ხორო და **ახალი კლუბის ორკესტრი**—ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ფ ა ს ე ბ ი  ს ა ბ ე ნ ე ფ ი ს ო ა

ბილეთების დაკვეთა შეიძლება კასაში. 1154.



**კვირას, 28 აპრილს, 1913 წელს**

### ქართულ თეატრის დარბაზში
ბ. ი. ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას შ ე მ დ ე გ  თ ე მ ა ზ ე

### „თანამედროვე აღზრდა-განათლების საფუძველი“

ეს ლექცია დანიშნული იყო 25 მარტისთვის მაგრამ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო გადაიდო.

**მოკლე შინაარსი:** რა არის აღზრდა-განათლება? თანამედროვე ოჯახი და სკოლა. ახალგაზდობის ზნეობრივი რყევის მიზეზები თავის მოკვლა ახალგაზდათა შორის და ამ მოვლენის მიზეზი. აღზრდა-განათლების ძირითადი რეფორმების საჭიროება. მომავალ ოჯახის და სკოლის იდეალი. ახალი სკოლის მაგალითები ევროპასა და რუსეთში, კავშირი მომავალ სკოლისა და ოჯახ შორის. 25 მარტისთვის აღებული ბილეთები გამოდგება 28 აპრილისთვის ბილეთები ძლიერ დაკლებულ ფასებში იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი დილის 12 საათზე.** 1175.



### მუშტაიდის ბაღი.
**პარასკევს, 26 და შაბათს 27 აპრილს,**

### ხარფუხის ქართ. დრამატიულ წრის სასარგებლოდ
### გაიმართება სეირნობა

**საინტერესო პროგრამით:** სათამაშოები პტი-შვო, ტუმბოჩკები, ბორბლები, ჩინური და საპრუნავი ბილლიარდები, სტოლის კეგლი, ნიშანში სასროლი და სხვა. **კონფეტტისა და სერპანტინის ბნევა. ყვავილები და ვარდები. ილლიუმინაცია. მაშხალები უფასო სინემატოგრაფი. სიმღერიანი ორკესტრის ორი ხორო. ✦ შესვლა უფასოდ. დასაწყ. საღ. 5 ს.**

თუ ავდარი იქნება, სეირნობა გადაიდება 29 და 30 აპრილისათვის.

248 ადმინისტრატორი **გ. შათირიშვილი.**



№ 31. **ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი** № 31.

**კვირას, 28 აპრილს**, სახ. სახ. არს. ს. ხ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილ იქნება მეორედ **ლ. ანდრეევის** ცნობილი დრამა

### დღენი ჩვენი ცხოვრებისა
(სტუდენტის სიყვარული), დრამ. 4 მოქმედებ. თარგ. დ. ელიოზიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ს. ანკარა, მ. კოგოლაშვილი გოდერძი ა. კახელი, მანუჩარიანი, პიერეტა, ბ. ტანელი, ე ც მაჭურიძე. ბ-ნ ი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, ნ. გაცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. მ. ტრუველი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, რ. სალაყაი, გ. ფრონის-პირელი, ყარსიმაშვილი, ნ. ჭანკვატაძე, კ. ხახანაშვილი.

ადგილ. ფასი 5—50 კ. ბილეთების კასა ღიაა დილ. 12—2 ს. საღ. 6—8 ს.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა** თანაშემწე **ნ. ჭანკვატაძე.**

შემდეგი წარმ. 3 მაისს, „მსხვერპლი“, ავტორის მიერ გადაკეთებული 2 მოქ. 1[illegible]60



## ტფილისის კერძო სამკურნალო

### ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენზელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თოკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—[illegible].<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible] |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე დედ ბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]—1[illegible]<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ბედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გ სინჯვა, ათაშანგ. **Wassermann**-რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. ზომიერი საფასურით. წ. 1035


## მუშათა დაზღვევის საქმე კავკასიაში

როგორც მოგეხსენებათ ახალი კანონი, (23 ივნისის 1912 წლ.) მუშათა დაზღვევის შესახებ, ავალებს მწარმოებელთ თავიანთი მუშები უზრუნველ ჰყონ უბედურ შემთხვევების შედეგისაგან. ამის გამო მწარმოებლები და მრეწველები იძულებულნი არიან დაარსონ დამზღვევი საზოგადოებები. ესეთი ტიპის მუშათა დამზღვევი საზოგადოებანი მრავალნი არიან საზღვარ-გარედ. ახალ კანონს რუსეთშიაც შემოაქვს ეს ტიპი მუშათა უზრუნველ-ყოფისა. რადგანაც დამზღვევი ამხანაგობა დიდ ფულისა თხოულობს, ამიტომ მთელი რუსეთის იმპერია, რამდენიმე ოლქად არის დაყოფილი და მათ შორის ერთ ოლქად კავკასია არის ცნობილი, ხოლო ცენტრად კი—ბაქო, როგორც ადგილი, სადაც არის უდიდესი მრეწველობა კავკასიისა—ნავთის წარმოება.

კავკასიის ამ საქმეთა მოსაწესრიგებლად ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ დააარსა კავკასიის კომიტეტი, რომლის მეთაურობა მანდო ბაქოს ნავთის მრეწველთა კრებულის საბჭოს და რომლის წევრებათაც უნდა მოწვეულ ყოფილიყვნენ სხვა და სხვა მსხვილი წარმოების წარმომადგენელნი. კანონის მიხედვით „კავკასიის სამოქმო ამხანაგობის“ საქმეთა უმაღლეს გამგებლად ითვლება მრეწველთა და მწარმოებელთა რწმუნებულების კრება, რომლის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 80 კაცს (როგორც უკანასკნელის ცნობებით სჩანს „კავკასიის სამოქმო ამხანაგობის“-თვის რწმუნებულთა რიცხვი 65-ი იქნება). ვიდრე ეს რწმუნებულნი არჩეულ იქმნებიან მანამდის საქმის მოწესრიგება ზემოხსენებულის კომიტეტის ხელშია.

ბაქოს ნავთის მრეწველთა კრებულის საბჭომ უკვე ორჯერ მოახდინა სხდომა ამ საქმის შესახებ: პირველი 9 იანვარს 1913 წლისა და მეორე 19 აპრილს ამავე წლისა.

პირველ სხდომას დაესწრნენ ნავთის მრეწველთა კრებულის საბჭოს თავმჯდომარის მაგიერი ა. ა. პარონიანი, ნავთის მრეწველთა ფირმების წარმომადგენელნი: „ძმათა მირზოევებისა“ ი. პ. მარქაროვი, „კასპიჩერნომორის საზოგადოებისა“ ა. ა. გუხმანი; „ნობელისა“ ა. ი. ზეიფერტი, ბიხოვსკის ფირმისა ა. ი. გინცბურგი, ნავთის მრეწველთა საბჭოს საქმეთა გამგეობის თავმჯდომარე ა. ნ. დასტაკოვი საბჭოს სტატისტიკის ბიუროს გამგე ვ. ი. ფროლოვი, თერგის ნავთის მწარმოებელთა კრებულის თავმჯდომარე ა. მ. კონშინი, გროზნოს ნავთის მწარმოებელ ფირმის „ახვერდოვის საზოგ.“-ის წარმომადგენელი დ. ს. სხირტლაძე, ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერი ი. გ. (კიტა) აბაშიძე „კავკასიის მრეწველობისა და მეტალურგიის საზ.-ის წარმომადგენელი პ. ა. მნაცაკანოვი, „ჩერნომორის ცემენტის წარმოების საზ.“-ის გამგე-დირექტორი გ. ს. ლივენი და მისი ამხანაგი გ. გ. ლივენი.

პირველ კრებაზე უნდა გამორკვეულიყო ის წესი, თუ რა რიგ იქმნეს არჩეული რწმუნებულთა კრება. ამ მიზნით მთელი კავკასია დაყოფილი იქმნა ექვს საარჩევნო ოლქად: 1) ბაქოს გუბერნია. 2) ტფილისის გუბერნია. 3) ყუბანის ოლქი ჩერნომორის გუბერნია და სტავროპოლის გუბერნია, 4) თერგისა და დაღესტნის ოლქი 5) ბათომის ოლქი და ქუთაისის გუბერნია 6) ერევნისა და განჯის გუბერნია, ზაქათალის ოლქი. ყოველი ოლქი დაყოფილ იქნება ცალკ-ცალკე კურიებად, წარმოებისა და ტერიტორიის მიხედვით.

თითო რწმუნებული შეუძლიანთ ამოირჩიონ ყველა იმ მწარმოებლებმა ან ერთმა ფირმამ, რომელთაც ჰყავთ დაქირავებული 1200 მუშა და მოსამსახურე.

რადგანაც კავკასიაში 80000 მუშამდე ითვლება, რწმუნებულთა რიცხვი 65 იქნება.


ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

### მიხ. ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით, ვერა, ყორღანოვის ქ. № 26. წ. 1022



### საგურთალოზე
**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020



### ბუფეტი „სატივო“
ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

✦ აზიური საჭმელები ახალის სანოვაგისა ✦

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის.

**ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114



### ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191



### ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. იღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102



### ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130



### ვაგზლის კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; **აგრეთვე** ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

### წამლობა „606“-ით. 1053



### ამერიკულ ვაზის სანერგეები
### „გიორგის შრომა“
დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასდადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:

Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву. 1142

მწარმოებელს ექმნება ხმის უფლება იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მუშა ჰყავს.

ამ სხდომაზე არჩევნების მრავალი სისტემა იყო გარჩეული. ბაქოს მწარმოებელთა წარმომადგენლებმა და აგრეთვე მარგანეცის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს შედარებით უფრო დემოკრატიულს წესს, რომელიც თვით ბაქოს მწარმოებელთა საბჭოს სტატისტიკის მეთაურს ბ-ნ ფრ—ლოვს შეედგინა. სხვილი მწარმოებლები ამის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ვერას გახდნენ.

რწმუნებულთა პირველ კრების მოსაწვევად შემდეგი სისტემაა მიღებული:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვისაცა ჰყავს — 49 მუშა — | | ექნება | 1 | ხმა |
| „ | 50—99— | „ | 2 | „ |
| „ | 100—199— | „ | 3 | „ |
| „ | 200—399— | „ | 4 | „ |

400-ზე მეტი მუშა ვისაც ჰყავს, იმას მაინც 4 ხმაზე მეტი არ ექნება.

სრულიად ეს სისტემა, რასაკვირველია, ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს, მაგრამ მთელს რუსეთში მიღებულ სისტემათაგან, რამდენადაც ვიცით, ეს ყველაზე უფრო დემოკრატიულია.

რამდენადაც ბაქოს მწარმოებელთა საბჭომ ლიბერალობა გამოიჩინა არჩევანთა სისტემაში, რაიც უეჭველია საპრიანოა საბჭოს ხელმძღვანელთათვის, იმდენად ბიუროკრატიულ-ცენტრალური ტენდენცია გამოიჩინა იმ საგანში, თუ რაგვარად უნდა მოხდეს არჩევნები. ბ. ფროლოვის პროექტმა არჩევნების იმნაირი სისტემა წარმოადგინა, რომელიც თითქმის სრულიად აქარწყლებდა ბაქოს გარეშე მცხოვრებ მრეწველთა მონაწილეობას. მაგრამ სამაგიეროდ ბაქოს გარეშე მრეწველთა წარმომადგენლებმა ცხარედ დაიცვეს ის წესი, რომელიც საშუალებას აძლევს ყოველ ყურეს და ყოველ დარგს წარმოებისას, იყოლიოს თავისი წარმომადგენელი რწმუნებულთა შორის. ნავთის მრეწველთა საბჭო, როგორც ქვემოდ ვნახავთ, ამ საქმის ხელში ჩაგდებას აპირებს, მაგრამ ეჭვი არ არის „პროვინციები“ თავის უფლებას დაიცავენ, რამდენადაც ეს მოსახერხებელია.

ბ. ფროლოვის პროექტი, წინადადებას იძლეოდა, რომ ყოველ მრეწველს დაეწერა სახელი სასურველის რწმუნებულისა ბიულეტენზე, ეს ბიულეტენები გაეგზავნათ ნავთის მრეწველთა საბჭოში, იქ გამოიანგარიშებდნენ ვის მეტი ხმა ამოუვიდოდა და ის იქმნებოდა არჩეული. ამგვარად, თქმა არ უნდა, ბაქო, სადაც მუშათა თითქმის 60%-ია და სადაც მაშასადამე,—მწარმოებელთ იქ მეტი საარჩევნო ხმა ექმნებათ, სადაც აგრეთვე მწარმოებელთ შეუძლიანთ ერთი-მეორეს გაუზიარონ თავისი აზრი,—ბაქო ამოირჩევდა ყველა რწმუნებულთ. მაგრამ ეს „ნომერი“ ვერ გაიყვანეს ბაქოს ცენტრალისტებმა. პროვინციების წარმომადგენლებმა (თერგის, გროზნოს, ჭიათურისა) წინადადება შეიტანეს, რომ დაიყოს საარჩევნო ოლქებად კავკასია, ყოველი ოლქი—კურიებად, წარმოებისა და ტერიტორიის მიხედვით: კურიებში უნდა მოხდეს მწარმოებელთა კრება და იქ უნდა ამოირჩიონ სათანადო რიცხვი რწმუნებულთა: ამგვარად, მაგალითად, თერგის ნავთის მწარმოებელთა საბჭო მოახდენს კრებას თავის მრეწველთა, რომელიც ამოირჩევს რწმუნებულს; ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭო თავისას და ესე ამ გვარად ყველა ზემოდასახელებული ოლქი. ეს წინადადება მიღებულ იქმნა და ამნაირი პროექტი უკვე წარდგენილია სამინისტროში და დღედღეზე მოელიან დამტკიცებას. ეს სისტემა მით არის კარგი, რომ მწარმოებელნი თავის კაბინეთში კი არ ირჩევენ რწმუნებულთ, არამედ იკრიბებიან განსაზღვრულ დროს და ადგილს და აქ შეუძლიანთ იქონიონ მსჯელობა საქმის სხვა მხარეების შესახებაც. გარდა ამისა, არც ერთი მხარე და არც ერთი დიდი დარგი წარმოებისა არ იქნება დარჩენილი ისე, რომ წარმომადგენელი არა ჰყავდეს. ბ ფროლოვის სისტემა კი მარტო ბაქოს მწარმოებელთ აძლევდა საშუალებას წარმომადგენლები ჰყოლოდათ. ამ სისტემამ და ცენტრალისტურმა ტენდენციამ უფრო აშკარად, უფრო მწვავედ იჩინა თავი მეორე სხდომაზე, რომელზედაც გაირჩა პროექტი ამხანაგობის წესდებისა და რომლის შესახებ შემდეგში მოვილაპარაკებთ.

## ქართული პრესა

ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ ჩვენი დასელები თავიანთ დამარცხებას მოინელებენ. თავიდანვე ბევრნაირი საშუალება იხმარეს, ხან ცილისწამებას მიმართეს, ხან უშვერ ლანძღვა-გინებას, მაგრამ ვერას გახდნენ. რაღა დარჩენიათ იმის მეტი, რომ ერთის მხრით თვით გელოვანს დაუკარგონ ნდობა ხალხში და მეორეს მხრით ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს ხალხი მას თავის წარმომადგენლად არა სთვლის. შევჩვეით ასეთი ბრძოლის წესებს, დასელები ველარაფრით გაგვაკვირვებენ. მაგრამ მაინც საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისათვის, როგორის დაჟინებითა სცდილობენ დასელები იმ შთაბეჭდილების გაქარწყლებას, რომელიც გელოვანის გამარჯვებამ გამოიწვია.

„დეპუტატი ვარლამ გელოვანი,—მოგვითხრობს „თანამ. ქვეყანა“,—ეჩხუმელი თავადია. ცნობილია, რომ ის დეპუტატად ერთი ხმის უმეტესობით გავიდა, და ეს ერთი ხმა-კი, ნაყოფია ლეჩხუმელ ამომრჩევლის, გლეხი ფრუიძის ღალატისა. იმის შემდეგ რაც რწმუნებულთა დიდმა უმრავლესობამ ფრუიძეს ამის გამო პროტესტი გამოუცხადა, საკადრისი არ იყო იმ ს ხმით სარგებლობა, მაგრამ გელოვანმა და საერთოდ ჩვენმა ფედერალისტებმა ეს იკადრეს. ამბობენ „რა ყურადღების ღირსია რწმუნებულების პროტესტი, ისინი დასელებმა მოატყუეს, პროტესტი ძალით შეადგენინეს, თორემ გლეხები და ჩვენ ერთი ვართო!“ ეხლა ამ ვაებატონებმა მართლა მოისურვეს გლეხებ.ს ნდობით აღჭურვა და ამას წინეთ ქვეშის საზოგადოებას მოსთხოვეს: განაჩენი შეადგინეთ და დეპუტატ გელოვანს სხვა და სხვა სასოფლო საქმეების, მაგალითად „საიასაულო ცხენების“ შესახებ სათათბიროში შეკითხვის შეტანა მიანდეთო. გლეხება ერთხმად ცივი უარი სტკიცეს: **ჩვენ გელოვანს წარმომადგენლად არ ვსცნობთ და არც ვაიდებთ რაიმე შეკითხვასო.** მე მგონია ეს უბრალო გაოემოება არ არის. მთელი საზოგადოება ყრილობაზე ადგას; გელოვანს წარმომადგენლად არა ვსცნობთო და თავ. გელოვანი კი საწყალად ამ გლეხების ხმით ბრძანდება სათათბიროში! საინტერესოა როგორ ახსნიან საზოგადოების ასეთ საქციელს ჩვენი „მამულიშვილები“? ნუ თუ ამათაც „დასელების შეჩვენდათ“...

„თანამედროვე ქვეყნის“ რედაქციასა ჰგონია, რომ, თაბან ასეთ ცნობას გამოაქვეყნებს, გელოვანისა და მის თანამოაზრეთა მისწრაფებას ჩრდილი დაადგება და ფასი დაეკარგება მთელ ამიერკავკასიაში. ერთს იტყვით, ორს იტყვით, და გელოვანიც იძულებული იქნება დაიუძლეოს, რომ ის ხალხის მტერიაო, „თორემ როგორ გათავდაო“, როგორც უყვართ სიტყვის მოყვანა ჩვენს დასელებს. ეგდენი არიან, რომ ასეთი საშუალებით შეუძლიანთ დაიმშვიდოს არჩევნების შედეგით აღშფოთებული სული!

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ერევნის პოლკის დახვედრა.** გუშინ ძახგლისიდან ტფილისში ჩამოვიდა მე-13 გრენადიორთა ერევნის უძველესი პოლკი. კოჯრის გზაზე, გოლიცინის გზა-ტკეცილზე, ჯარს დაუხვდა სხვა და სხვა აქარი საამქრო დროშებითა. ერევნის მოედანზე ხალხი ადრე მოგროვდა და ჯარს უცდიდა. შუადღის 12 საათზე ჯარი ერევნის მოედანზე მოვიდა და დამწკრივდა. საგანგებოდ მოთრთული ადგილი მოედანზე სამღვდელოებამ დაიჭირა. საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ სამღვდელოების თანამწირველობით სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადა, რომლის შემდეგაც ჯარი ნაკურთხ წყლით ასხურა. დაესწრნენ წარმოამდგენელნი: თავად-აზნაურობისა, ქალაქის თვითმმართველობისა სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა. სიტყვები წარმოსთქვეს: საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ, სომხეთა ეპისკოპოსმა მესროპამ, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თ-დმა ნ. ი. საგინაშვილმა და ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა. პოლკს მიართვეს: ეგზარხოსმა—ივერიის წმ. ღვთის-მშობლის ხატი, ქალაქის თვით-მმართველობამაც—ხატი, ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოსი და სომხეთა განმანათლებელ წმ. გრიგოლის სურათით და თავად-აზნაურობამ—ვერცხლის აზარფეშა.

✦ **ხმოსნის ივანე სპირიდონის ძის ჯაბადარის გარდაცვალების გამო,** ქალაქის გამგეობამ დაადგინა: თანაგრძნობა გამოუცხადოს განსვენებულ ი. ს. ჯ ბადარის მეუღლეს, გვირგვინით შეამკოს კუბო და დაესწროს მის დასაფლავებას.

✦ ი. ს. ჯაბადარის გარდაცვალების გამო ხმოსნის ადგილს დაიჭერს პირველ საარჩევნო უბნის პირველი კანდიდატი ა. მ. მარგოლიუსი.

✦ **ტრამვაის** დირექციამ ქალაქის გამგეობას სთხოვა, ნება დართოს ტრამვაის სადგურზე ორთქლის მანქანები დიზელის მანქანებით შესცვალოს. გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა ქალაქის საბჭო გადასცეს განსახილველად.

✦ **მუშტაიდზე ქუჩის გაყვანის** საკითხს ქალაქის საბჭო 29 აპრილის კრებაზე განიხილავს.

✦ **პენსია.** გუბერნატორმა ქალაქის თვით-მმართველობას წინადადება მისცა, პენსია დაუნიშნოს საქალაქო ექიმს იაშვილს. ამ საკითხს ქალაქის გამგეობა საბჭოს წარუდგენს.

✦ **ავტომობილთა** მიმოსვლის წესები ქალაქის გამგეობამ უკვე შეიმუშავა. ამას გარდა განზრახულია, ავტომობილებს ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი დაედოს.

✦ **ბუნებისმეტყველების კურსების** მოსაწყობად სახალხო განათლების სამინისტრომ 6,000 მან. გადასდო, თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობისა კურსები უნდა მოაწყონ ტფილისში, ექვსის კვირით, ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებელთათვის, დაახლოვებით ივნისში.

✦ **სახალხო გასართობთა საზოგადოება** 27, 28 და 29 აპრილს ვერაზე, ეგრედ წოდებულ „ფიქრის გორა“-ზე დიდს სახალხო სეირნობას მართავს.

✦ **გზები და ხიდები.** ნამესტნიკის საბჭოს სხდომაზე, 24 აპრილს, დაადგინეს: საერობო თანხიდან გადაიდოს 70 ათას მანათამდე ნატანებ-ოზურგეთ-საჯავახოსა და სენაკ-ნაქალაქევის გზებზე ხიდების გასაკეთებლად და აგრეთვე სვანეთში გზის გასაყვანად დაწყებულ გამოკვლევის დასამთავრებლად.

### სასწავლებლებში

✦ **ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის** მერვე კლასის მოსწავლეებს ეგზამენები დღეს ეწყობათ.

### გორი

✦ ფრინველობის მომშენებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება 9 მაისიდან 14 მაისამდე გამართავს ფრინველების მეოთხე მორიგ გამოფენას. მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მეურნენი: ბუძიანსკი, ნ. მდივანი, დ. მაჰავარიანი, ვ. ენგელმანი, ერისთავები და სხვ. სხვათა შორის განყოფილებას დაუდგენია ახლო-მახლო ექვსი სოფლიდან მოიწვიოს გამოფენაზე გლეხები და სამასი კვერცხი უფ სოდ დაურიგოს შინაურ ფრინველის კარგი ჯიშის მოსაშენებლად.

✦ გვირილობამ ფერმკრთალად ჩაიარა. დილიდანვე დაიწყო წვიმა, ხალხი ქუჩაში ნაკლებად სჩანდა. საღამოს უფრო მეტი გამოცოცხლება დაეტყ · ყვავილის ყიდვა სწორედ ამ დროს შეაჩერეს.

## ილიას საღამო

### ძეგლის კურთხევის დღეს

5 მაისს, ილია ჭავჭავაძის ძეგლის კურთხევის დღეს, საღამოთი წ. კ. გ. ს. გამართავს ფრიად საინტერესო სალიტერატურო და მუსიკალურ საღამოს: ყველაზედ უფრო საინტერესო ამ საღამოზედ იქნება ბ. რობაქიძის ლექცია, რომელმაც აღტაცება გამოიწვია პეტერბურგში და რომლის გამო ლექტორისთვის ძალიან თავმოსაწონი აზრი გამოსთქვეს ისეთმა შესანიშნავმა პირებმა როგორც მაქსიმ კოვალევსკია და ცნობილი დეპუტატი მეოთხე სათათბიროსი ალექსანდროვი: მეორე ფრიად საყურადღებო ნუმერია „დედა და შვილის“ ახალი დადგმა, რომელიც იკისრა „ედიპისა და ანტიგონას“ რეჟისორმა კონ. ანდრონიკაშვილმა: ეს დრამატიული დიალოგი სულ ახალ გემოზედ იქმნება წარმოდგენილი: ახალი დეკორაციებით, ახალ მიზან-სცენით. „დედა და შვილი“ წარმოდგენილი იქმნება მუსიკის აკომპანიმენტით.

მონაწილეობას მიიღებენ: ფილარმონიული საზოგადოების ხორო, სულხანიშვილის ხორო, ცნობილი დეკლამატორი ნ ერისთავი, წაიკითხავს „განდეგილს“, რომელსაც თან ეხლება ცოცხალი სურათები. მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ქნ. აბირაჯიბისა და ჩვენი პოეტები ევდოშვილი და გრიშაშვილი.

## ქართ. სასოფ.-სამეურნეო საზ. გამგეობის კრება

25 აპრილს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ახალი საბჭოს პირველი კრება მოხდა. კრებას საბჭოს წევრთა და კანდიდატების უმეტესობა დაესწრო. კრება საღამოს 8 საათსა და 35 წუთზე გახსნა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა თავ. ს. **ვახვახიშვილმა,** რომელმაც [illegible] საზოგადო მოღვაწის ხმოსნის ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარის გარდაცვალება და წინადადება მისცა დამსწრეთ ფეხზე ადგომით მის ხსოვნისათვის პატივი ეცათ. შემდეგ კრებამ დაადგინა ერთობრივ დაესწროს გარდაცვალებულის დასაფლავებას. შემდეგ კრება მორიგ საქმეებზე გადავიდა. მდივანმა კრებას მოახსენა იმ მამულების შესახებ, რომელიც საზოგადოებამ შეიძინა თავისი მოქმედების პრაქტიკულად მოსაწყობად. საბჭომ დაადგინა, მიეცეს საბჭოს მდივანს **ვ. რცხილაძეს** ნდობის ბარათი, რათა მან თავ. ჭავჭავაძისაგან და ბანკისაგან მამულები შეისყიდოს საზოგადოების სახელობაზე.

შემდეგ ზოგიერთმა წევრებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ყოველი სხდომის დანიშვნის დროს საჭიროა საბჭოს თვითოეულ წევრსა და კანდიდატს ცალკე მოსაწვევი ბარათი გაეგზავნოს. ეს განცხადება იმით არის გამოწვეული, რომ შეიძლება სხდომა ყოველთვის ერთსა და იმავე დღეს *არ შესდგეს, ან შეიძლება წევრმა გაზეთის ქრონიკაში ვერ წაიკითხოს და ამით შეძლება არა ჰქონდეს კრებაზე დასწრებისა. კრებამ ეს წინადადება მიიღო. თავმჯდომარემ თავ. ს. **ვახვახიშვილმა** განაცხადა, სოფ. იყალთოში მდებარე საზოგადოების თავ. მაყაშვილისეულ მამულში სანადელო მიწებიც ყოფილა. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს რამდენია ამ ნაჭერში სანადელო და რამდენი—თავისუფალი. მოკლე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, ამ საკითხის გამორკვევა საბჭოს წევრს ბ-ნ ყაზახაშვილს მიენდოს.

კრებამ მოისმინა კიევის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტების შუამდგომლობა, რათა საზოგადოებამ მათ დახმარება აღმოუჩინოს სასტატისტიკო მასალის შეგროვებისათვის. ამ სტუდენტებს განუზრახავთ სტატისტიკური გამოკვლევა მოახდინონ და ცნობები შეჰკრიბონ შორაპნის მაზრაში მევინეობისა და მევენახეობის შესახებ. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თავ. ვახვახიშვილმა, ვ. რცხილაძემ, ლ. დიასამიძემ, ბ-ნ ყაზახაშვილმა, თავ. დ. ვაჩნაძემ და ბ-ნ რამიშვილმა. საბჭომ დაადგინა აღმოუჩინოს მათ დახმარება 100 მანეთით. დასასრულ მოხდა ხაზინადრის ამორჩევა. ხაზინადრად აირჩიეს ლ. დიასამიძე.

## † ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი

გუშინ-წინ, 25 აპრილს, გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი ივ. სპ. ჯაბადარი; გარდაიცვალა გზაში, საგარეჯოდან ტფილისში დაბრუნების დროს.

## რა ეშველება გამოფიტულ მიწას

ბუნებრივი სასუქით ნიადაგის გაპოხიერებას, იქნება ეს სასუქი საქონლის ნეხვი, თუ მწვანე სასუქი (უკანვე ნიადაგში ჩახნული მცენარე აყვავილების დროს), ერთი მხარე აქვს, რომელსაც მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო.

წარმოვიდგინოთ რომ სამი უმთავრესი სინოყივრეებიდან—აზოტი, კალი, ფოსფორი, რომელნიც ესაჭიროებიან მცენარეს, ერთი რომელიმე სინოყივრე, ვსთქვათ, მაგალითად, ფოსფორი, ნაკლებად ურევია ჩვენს ნიადაგს და ახლო-მახლო მიწებსაც.

ამ სინოყივრის ნაკლებობას, აშკარაა, იგრძნობენ მცენარენი, რომელნიც დაიზრდებიან აქ. ჯერ ერთი რომ ყველას ცუდი ზრდა ექნებათ, ზოგნი სულაც ვერ იხარებენ და მერე ყველა აქ მოსულ მცენარეებს ფოსფორი ნაკლებათ ექნებათ სხეულში.

მაშასადამე, ჩავხნავთ ამ მცენარეებს ისევ ნიადაგში, თუ ჯერ საქონელს შევაჭმევთ და მერე ამ საქონლიდან მიღებულ სასუქს შევახმარებთ ნიადაგს, სულერთია, ამ უკანასკნელს ორივე შემთხვევაში მხოლოდ ის სინოყივრე დაუბრუნდება უმთავრესად, რაც იქიდან იყო ამოღებული, ე. ი. ფოსფორი ისევ ისე ნაკლებათ ექნება, როგორც წინათ.

გამოდის რომ გაპოხიერება ამგვარი მწვანე სასუქით ან საქონლის ნეხვით ვერ მისცემს ჩვენს ნიადაგს იმ სინოყივრეს, რომელიც მას ესაჭიროება და ამიტომ ის მცენარენი, რომელნიც ბლომად თხოულობენ ფოსფორს, როგორც წინად არ მოდიოდნენ ჩვენს მამულში არც როგორც გარეულნი და არც ჩვენ მიერ დათესილნი, ისე კვლავაც არ იხარებენ.

ეს არის ალბად იმის მიზეზი, რომ საქონლის სასუქი ყველა ერთნაირი ღირსებისა არ არის.

გარდა ამისა, ყველა იმ სინოყივრეს და მასთან იმ ზომით, რა ზომითაც ამოღებული იყო იგი ნიადაგიდან ამოსულ მცენარეებით, საქონლის სასუქი ვერ მისცემს, რადგან ამ მცენარეთა ნაყოფი, თესლი, ერთი სიტყვით, რაც რამ ძვირფასი იყო და რისთვისაც დავთესეთ და მოვიყვანეთ მცენარე, საქონელმა კი არ შეჭამა, არამედ ადამიანმა მოიხმარა, გაყიდა, წაიღეს შორს სხვა და სხვა სახით და გზით და თავისდღეში აღარ დაუბრუნდება ჩვენს მამულს. აბა წარმოიდგინეთ, რამოდენა ხილეულობა, ბაღეულობა, ბოსტნეულობა, თესლეულობა მიღებული ჩვენი მიწა-წყლიდან იგზავნება სხვაგან ყოველ-წლივ, რამოდენა ვაზის წვენი მიდის აქეთ-იქით ქვეყნებში გამოწვილი ჩვენი მამულიდან, და მაშინ მიხვდებით იმ დანაკლისს, რაც ჩვენ მამულს აკლდება და აღარ უბრუნდება უკან.

ნოყიერი მამული უძირო ბოჩკა როდია. ახში ეს სინოყივრე გამოილევა, მამული გამოიფიტება და პატრონი ხელცარიელი დარჩება, თუ მამულს უკან არ დაუბრუნა იმის სამაგიერო, რაც იქიდან მიიღო.

აქედან თავისთავად იბადება საკითხი: რა საშუალებით მივცეთ ჩვენს მამულს უკან ის სინოყივრე, რასაც იგი მოსავლის მოყვანაზე ჰხარჯავს და ამასთან როგორ მოვახერხოთ ისე, რომ ამ სამაგიეროს მიცემა უფრო იაფად დაგვიჯდეს, ვიდრე რაც ვიღეთ; ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამ აღებ-მიცემაში ჩვენს და ჩვენ მამულს შორის როგორ მოვიქცეთ ისე, რომ ხარჯი ნაკლები გვქონდეს შემოსავალზე და მამულს კი, თუ იმაზე მეტი არა, იმოდენავე სინოყივრე მაინც უბრუნდებოდეს უკან, რამდენიც მას დაეხარჯა მოსავლის მოყვანაზე. აი საკითხი, რომლის ძიებაშია დღეს სამეცნიერო და პრაქტიკული მეურნეობა.

ვიდრე ხალხი იყო ცოტა, მიწა ბევრი, საქონელი ბლომად, საქონლის სასუქი იაფი და ადვილი საშოვარი, მანამდე უსწავლელ მეურნესაც შეეძლო მეურნეობა. წელს აქ მოხნავდა, მერმის იქ, იქითმერმის სხვაგან, დასკუპობდა როგორც ებრიანებოდა. ეხლა კი ვეღარ მივართვი. დროა ჩვენმა მეურნემაც ყურები დაიბლერტოს და სამეურნეო სწავლა-განათლებით შეიარაღდეს, თუ ჰსურს რომ მამულმა აცხოვროს და შიმშილით არ მოკვდეს.

ვინც მწვანე სასუქით აპოხიერებს თავის მამულს ან საქონლის სასუქი მოეპოება საკმაო, ის იმას როდიდა დაგიდევთ, რა და რა შემადგენელი ნივთიერებანი არიან მის ბუნებრივ სასუქში, ან რომელი სინოყივრე რამდენი ურევია. აი როცა ეს ბუნებრივი სასუქი გამოელევა მას და იძულებული გახდება სხვა საშუალება იხმაროს, მაშინ დადგება იმის ჰპანწყვეტა. იძულებული იქნება გამოიკვლიოს რომელი სინოყივრე აკლია მის მამულის ნიადაგს, შეისწავლოს ამა თუ იმ სინოყივრის მისაცემად რა-და რა მასალა იხმარება და როგორ უნდა იყოს ეს მასალა შეზავებული ხელოვნურად, რომ საჭირო სასუქი გამოვიდეს.

**ხელოვნურ სასუქების** მოსამზადებლად ზოგი მასალა თვით მიწაშივე იპოება (გიპსი, ფოსფორი), ზოგიც სხვა და სხვა ფაბრიკებში და ქარხნებში აქვთ ხოლმე გადასაყრელი. პირველი გვარის მასალაც და მეორე გვარისაც ერთგვარ დამუშავებას თხოულობენ, ესე იგი ხელოვნურად უნდა მომზადდეს იმათიდან სასუქი. მემამულემ უნდა იცოდეს, რომელი ხელოვნური სასუქი არგებს იმის მამულს. სასუქის არჩევა დამოკიდებულია ნიადაგზე. ერთი და იგივე ხელოვნური სასუქი შეიძლება ერთ ნიადაგისათვის დიდად სასარგებლო იყოს, მეორეს მხოლოდ ცოტათი არგოს, მესამეს სრულებით არ გამოადგეს. გარდა ამისა, თვით მცენარესაც მნიშვნელობა აქვს: ერთი რომ ერთ სასუქს თხოულობს, მეორეს სხვა ესაჭიროება.

შეიძლება თვით სასუქის გამყიდავმა გითხრათ, რომელი სასუქი როგორი ნიადაგისათვის არის გამოსადეგი, მაგრამ ეს არა კმარა.

უნდა იცოდეთ თქვენი მამულის ნიადაგი როგორი თვისებისაა, რომ შეგეძლოთ სასუქის შერჩევა. ამის გამოსაკვლევათ კი ცდა არის საჭირო, რომელიც თქვენ თითონ შეგიძლიანთ მოახდინოთ ასე:

შემოღობეთ თქვენს მამულში პატარა ადგილი, დაბარეთ, ღათოხნეთ და გაყავით რვა ნაჭრად. თითოეულ ნაჭერს გარშემო შემოსავლელად ბილიკები გაუკეთეთ. შემოღობილი ადგილი იმ ვარაუდით უნდა აიღოთ, რომ თითო კვალს სიგძე-სიგანე ჰქონდეს ორ-ორი საჟენი მაინც, ე. ი. თითო კვალი იყოს ოთხი კვადრატიული საჟენი. ყველა კვლებს ცალი მხრიდან დაურჭვით პალოები და დანიშნეთ ზედ ნომრები.

შემდეგ აიღეთ სამი უმთავრესი სინოყივრის (აზოტის, კალის და ფოსფორის) სასუქები. ჩილის გვარჯილა, კალის მარილი 30% 40%, სუპერფოსფატი და გააპატივეთ მათით თითოეული კვალი, როგორც ქვემოთ მოყვანილ უჯრებშია დანიშნული. ყოველი სასუქი ცალკცალკეც უნდა იცადოს და სხვებთან შეზავებულიც. ამიტომ ერთ კვალს მიეცით მარტო აზოტი, **მეორეს**—კალი, **მესამეს**—ფოსფორი, **მეოთხეს**—აზოტი და კალი, **მეხუთე**—გაუპატივებელი დარჩება შესადარებლად ანუ საკონტროლოდ, **მეექვსეს**—მიეცით აზოტი და ფოსფორი, **მეშვიდეს**—კალი და ფოსფორი, **მერვეს**—აზოტი, კალი და ფოსფორი.

| | |
|---|---|
| **№ 1** აზოტი (ჩილის გვარჯილა) | **№ 5** |
| **№ 2** კალი (40% კალ. მარილი) | **№ 6** აზოტი და ფოსფორი. |
| **№ 3** ფოსფორი (სუპერფოსფატი) | **№ 7** კალი და ფოსფორი. |
| **№ 4** აზოტი და კალი | **№ 8** აზოტი, კალი და ფოსფორი. |

რაც შეეხება იმას, თუ რომელი სასუქი რამდენი უნდა მიეცეს თითო კვალს, ამას შემდეგნაირად იანგარიშებთ:

ჩვენ ვიცით რომ მძიმე თიხნარ ნიადაგების გასაპატივებლად დესეტინაზე ხმარობენ საზოგადოდ:

ჩილის გვარჯილას. . 4—6 ფუთს
40% კალის მარილს. 6—12 „
სუპერფოსფატს. . . 18—24 „

ხოლო მსუბუქ ნიადაგების გასაპატივებლად კი

ჩილის გვარჯილას. . 6—8 ფუთს
40% კალის მარილს 10—18 „
სუპერფოსფატს. . . 18—24 „

თქვენც აიღეთ და, მიხედვით იმისა თქვენი მამულის ნიადაგი მძიმეა თუ მსუბუქი, გამოიანგარიშეთ თითოეულ კვალს ამ თქვენ საცდელ მინდორზე რომელი სასუქი რამდენი დასჭირდება. იანგარიშეთ ასე: თითოეული სასუქის რაოდენობა ზემოთ მოყვანილი გაყავით 2400-ზე, რადგან ერთი დესეტინა 2400 კვ. საჟენს შეადგენს, და რაც გამოვა, ოთხი იმოდენა აიღეთ თითო კვალისათვის, რადგან თითოეული კვალი ოთხი კვ. საჟენია.

შემდეგ იმისა, როდესაც ყველა კვლებს გააპატივებთ. ზემორე მოყვანილის წესით, აიღეთ ერთი რომელიმე მცენარე. ვსთქვათ მაგალითად კართოფილი, და დათესეთ ყველა კვლებზე ერთდაიგივე დროს.

ამის შემდეგ დაგჭირდებათ თვალყურის გადევნება მთელი ცდის განმავლობაში. უნდა შეუცდომელად დაინიშნოს ხოლმე „ცდის დავთარში“ ყოველი განსხვავებითი მოვლენა, რომელსაც კი შეამჩნევთ ამ რვა კვალს: სად როდის ამობიბინდა მცენარე, სად იზრდება ჩქარა, სად მძიმედ; სად უფრო მაღალი, მსხვილი ღერო აქვს მცენარეს, ფოთოლი ფართე; რომელ კვალზე დაიყვავილა უფრო ადრე, სად ჰქონდა ყვავილი უფრო მეტი. როცა კართოფილი შემოვა, ამოიღებთ ცალკ-ცალკე თითოეულ კვალისა, შეადარებთ სად უფრო მეტი კართოფილია მსხვილიც და წვრილიც და გაიგებთ, მაშასადამე, სად უფრო უკეთესად განოყიერებულა ნიადაგი სასუქისაგან. ურიგო არ იქნება მცენარის ღერო-ფოთოლებიც აიწონოს რაოდენობის შესადარებლად.

შემდეგ კარანდაშით ხელში იანგარიშეთ, ბაზრის ფასის მიხედვით, რამდენი შემოსავალი შემოგივათ, რომ 1, 2, 3... დესეტინა გააპატივოთ საუკეთესოდ, რამდენი დაჯდება მთელი ხარჯი და რამდენი იქნება წმინდა შემოსავალი.

ყველა ამის მოხერხება, რაც ზემოთ ითქვა, არც ისე ძნელია, რომ მკითხველი შეუშინდეს და მოერიდოს მის ასრულებას თავის ოჯახის საბედნიეროდ. **ვ. გულბაათიშვილი.**

„მოსავალი“

ივანე ჯაბადარი საკმაოდ ცნობილია ჩვენს საზოგადოებაში. ყმაწვილობისას ბევრი იტანჯა იდეისთვის. ტფილისში საშუალო სასწავლებლის გათავების შემდეგ შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში უმაღლეს სწავლის მისაღებად. იმ დროს რუსეთის ახალგაზდობას სარევოლიუციო ბრძოლა ჰქონდა გამართული, რომელმაც ბევრი ჩვენი ახალგაზრდებიც გაიტაცა. ამათ შორის ახალგაზდა ივ. ჯაბადარმაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. ის წრე, რომელშიაც მუშაობდა ჯაბადარი მალე დაატუსაღეს გიორგი ზდანოვიჩთან, თავ. ციციშვილთან, ანთ. გამყრელიძესთან, ჩიკოიძესთან და სხვებთან. წრე გაასამართლეს 1880 წელს და ყველას კატორღაში გაგზავნა მიუსაჯეს. ჯაბადარმა კატორღის ციხეში, ციმბირს, ორ წლამდე დაჰყო, მერე დაასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში, სადაც 1887 წლამდე იყო. იქვე შეირთო ცნობილი რევოლიუციონერი ქალი ოლ ლალიუბატოვიჩისა. დღის მეცადინეობის შემდეგ ჯაბადარმა მოახერხა სამშობლოში დაბრუნება. ენერგიული ახალგაზდა ვერ მოტეხა ხანგრძლივმა ტანჯვამ. უკვე ხანში შესული ჯაბადარი შეუდგა მეცადინეობას და ორი წლის შემდეგ დაიჭირა სახელმწიფო ეგზამენები იურიდიულ კომისიაში და შეუდგა საადვოკატო მოღვაწეობას ტფილისში. გარდა ამისა იღებდა მონაწილეობას საზოგადო საქმეებშიაც. ბოლო წლებში ხმოსნად იყო ტფილისის საქალაქო თვით-მართველობაში, სადაც ამ ორი წლის წინად გამგეობის წევრადაც იქმნა არჩეული, მაგრამ ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა.

## კახეთის რკინის გზის შემოსავლიანობა

„ზაკ. რეჩ.“-სა და „ზაკავკაზიე“-ში დაბეჭდილი იყო წერილი თ-დ დ. ვ. ჩოლოყაშვილისა კახეთის რკინის გზის შემოსავლიანობის შესახებ, რომლიდანაც მოგვყავს ზოგიერთი ადგილები.

ეხლა, როდესაც ფინანსიური მხარე კახეთის რკინის გზის საქმისა ახალ ფაზისში გადადის, როდესაც 5,500 აქციის შეძენა აუცილებელი გახდა, საგულისხმოდ მიგვაჩნია გამოვაქვეყნოთ დაწვრილებითი ცნობები ფინანსთა სამინისტროს რკინის გზის დეპარტამენტისა კახეთის რკინის გზის შემოსავლიანობისა და მისი სახელმწიფო მნიშვნელობის შესახებ.

**პური** „საქმის წარმოებით პურის ტვირთის რაოდენობა უდრის 1.600,000 ფუთს. ამ რიცხვში ნავარაუდევი ჰქონდა გამოსაზიდად 1.000.000 ფუთი სიმინდი, ქერი და ლობიო და შემოსაზიდად 600 ათასი ფუთი ფქვილი, განსაკუთრებით რუსეთისა. გამოანგარიშებულია თანახმად ამიერ-კავკასიის რკინის გზისა და ხაშურის რაიონის ტვირთის მოძრაობისა. ეს ცნობები 1906 წლისაა. ცნობებს ჰკრეფდნენ აგრეთვე ტფილისში შეტანილ და გადატანილ პურის რაოდენობის მიხედვით. გარდა ამისა ამიერ-კავკასიის მოსავლის მიმოხილვაში, რომელიც გამოქვეყნებულია სასტატისტიკო კომიტეტის ცენტრალურ ბიუროს მიერ, ნაჩვენებია, რომ საშუალო შემოსავალი თითო სულზე მოდის 5,9 ფუთი, და საშუალო შემოსავილი დესეტინაზე 29, 3 ფუთი. ხარჯის ამკრები დეპარტამენტის ცნობით წლიური საშუალო მოსავალი, თანახმად ხარჯთამკრები ინსპექტორების მიერ მოწოდებულ ცნობებისა, უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ზაქათალის ოლქში და ტფილისის, თელავის, თიანეთის და სიღნაღის მაზრებში უდრის 9.331,7 ათას ფუთს. 2.734,5 ათას ფ. სათესლე რომ გამოვრიცხოთ, მთელი პურის რაოდენობა შეადგენს 6.588,2 ათას ფუთს.

ამ მაზრების მცხოვრებნი, გარდა ქ. ტფილისისა, 1907 წლ. შეადგენდა 404,000 სულს, მაშასადამე, ამ ცნობების მიხედვით, პურის მოსავლი თითო სულზე მოდის 16,3 ფუთი.

ამგვარად, საქმის წარმოების ცნობებით, რომელიც დამყარებულია 1904—1907 წ. სასტატისტიკო მასალაზე, გზის რაიონისთვის საჭიროა შემოტანილი პური და ჰქარბობს სალექვები პური. პურის ტვირთის გადატან-გადმოტანა საქმის დამწყებთა მიერ გამოანგარიშებულია კახეთში შესაზიდ პურის რაოდენობის მიხედვით 2,061 ათასი ფუთი. (გვ. 15 და 16).

ზემოდ მოხსენებულ მოსაზრებათა თანახმად, კომისიამ მომავალ რკინის გზაზე გადასაზიდი პურის რაოდენობად აღიარა ორ მილიონ ფუთამდე. ამასთანავე ეს ტვირთი კომისიამ გზის რაიონში შემოსაზიდ ტვირთად ჩასთვალა. პურის ტარიფი ფუთზე $^{1}/_{18}$ კაპ. ვერსზე. ამ რიგად, ერთი ფუთი პურის ტვირთისა, ორთა შუა რიცხვით, რკინის გზას მისცემს (დამატებითი გადასახადიანად) 8,04 კაპ.

**ღვინო.** კონცესიონერების ანგარიშით ღვინის ტვირთის რაოდენობა (აბრიანად) იქნება 3.539 ათასი ფუთი. დღეს დღეობით კი კომისიამ გაითვალისწინა მეღვინეობის ზრდა ალაზნის ხეობაში და ღვინის ტვირთი 2,650 ფ. ივარაუდა.

ერთ ფუთსა და ვერსზე დადებული ტარიფი $^{1}/_{10}$ კაპ.—ასე რომ მთელ გზაზე ერთი ფუთი ღვინის გადაზიდვა ეღირება 16, 03 კ. დამატებითი გადასახადით. ეს ფასი სამჯერ უფრო იაფია, ვიდრე ურმით გადატანილი.

**ხე ტყე.** ტყის რაიონის სივრცე კახეთში უდრის 400.000 დეს. რომელიც მეტ წილად სახაზინოა. საუკეთესო ტყეები თიანეთის მაზრაში მოიპოვება. ხე-ტყის ტვირთმა ტფილისამდე დაახლოვებით 150 ვერსი უნდა გაიაროს; ერთი ფუთის გადატანა ეღირება 1/40 კაპ. ამ რაოდენობით ალაზნის ხეობიდან ერთი კუბიკ. საჟენის გადაზიდვა ტფილისამდე (სასადგურო ხარჯებიანად) დაჯდება 11 მ. 85 კ. ამ მოსაზრებათა მიხედვით კომისიამ ხე-ტყის ტვირთის რაოდენობა 3.150.000 ფ. მიიღო, მათ რიცხვში 200.000 ფ. შეშა.

დანარჩენ ტვირთს შეადგენს უმთავრესად მებაღეობისა, მებოსტნეობისა და მეჯოგეობის ნაწარმოები, რომელიც კომისიამ 2.782 ფ. ივარაუდა. ამ ანგარიშში არ შედის ნავთისა, მადნეულობისა, ბამბისა და სხვა ისეთი კულტურის ნაყოფი, რომელიც შესაძლებელია კახეთში განვითარდეს.

**კახეთში შეტანილი საქონელი.** შეტანილი საქონლის რაოდენობის გამოკვლევის დროს, კომისია ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკას. რკ. გზის კომერციულ აგენტის დანილოვიჩის ანგარიშით, რომელიც მან 1896 წ. მოახდინა კახეთის რკინის გზის რაიონის შესწავლის დროს. ამასთანავე კომისიამ—კონცესიონერთა ანგარიშით—333.000 მცხ. წინააღმდეგ გზის რაიონის მცხოვრებთა რაოდენობა 330.000 განსაზღვრა. ამის მიხედვით შეტანილ საქონლის რიცხვი უდრის 3.702 ათას ფუთს, 305.596 მან. საერთო შემოსავლით. საქონლის გადაზიდვის მთელი შემოსავალი კი—1.152.739 მან.

მგზავრთა მიმოსვლისა და ჩქარი ამანათებისაგან ნავარაუდევია საერთო შემოსავალი 291.000 მან.

თუ ამას მივუმატებთ 200 მან. თითო ვერსზე (ამიერ-კავკ. რკ. გზის მგზავრად) ისეთ შემოსავალს, რომელიც მოძრაობისაგან არ არის დამოკიდებული, კახ. რკ. გზის მთელი შემოსავალი განისაზღვრება 1.482.539 მან. ე. ი. ერთ ვერსზე 7.642 მ.

მოძრაობისაგან გამოწვეული ხარჯი უდრის 592.248 მან., ხოლო მთელი ხარჯი ექსპლოატაციისთვის კი—1.077.248 მან.

ყველა ზემოდ მოყვანილი ცნობა ამოღებულია ფინანსთა სამინისტროს ახალ გზათა კომისიის ჟურნალიდან კახ. რკ. გზის საკითხის შესახებ.

იმავე კომისიის ჟურნალიდან ირკვევა, რომ სიღნაღ-ბაქოს რკ. გზა თუ გაკეთდა, იქიდან კახ. რკ. გზაზე ტვირთის მიმოსვლის ფასად ერგება, (კომისიის ანგარიშითვე) 282.150 მ. მაშასადამე კახ. რკ. გზის მთელი შემოსავალი იქნება 367.273+282.150=649.423 მან. თუ ამას გამოვაკლებთ 2 პროცენტს სათადარიგო თანხისთვის (12.988 მ.) მივიღებთ 636.435 მან. წმინდა შემოსავალს. რაც კახ. რკ. გზის აქციათა დივიდენდის 3,4% შეადგენს ექსპლოატაციის პირველსავე წელს, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იგი სიღნაღ-ბაქოს გზის დამოუკიდებლად გაკეთდება.

## აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

„საერთო პრობლემის გარშემო“

(1907—9 წ. ტ. I)

ჩვენში ხალხისადმი არავითარი ნდობა არ არის. სწორედ ისინი, ვისაც ასე უზომოდ მოაქვთ თავი ხალხისადმი სიყვარულით, ვისაც თითქო ხალხისაკენ აქვთ მიპყრობილი გულისყური, ისინი არავითარ ფასს არ აძლევენ არც ამ ხალხის ძალას, არც მის თვით-მოქმედებას.

თუ ჩვენ წარსულში ეროვნული კულტურა არ იყო, თუ იგი მხოლოდ ახალი დროის, კაპიტალიზმის პირმშო შვილია, ამ შემთხვევაში წარსული ჰკარგავს ჩვენთვის მნიშვნელობას, ჩვენსა და მის შორის კავშირი უნდა გასწყდეს და ცხოვრების გასაძღოლად და ასაშენებლად მასალას უნდა ვეძებდეთ მარტოოდენ პოლიტიკურ ეკონომიის ახლად გამოცემულ სახელმძღვანელოებში. ჩვენის ღრმა რწმენით კი საქმე ასე არ არის. ქართულ ეროვნულ შემეცნებას საძირკველი ჩაეყარა ძველს დროში. და ამიტომ ამ ჩვენს ძველ დროს სამართლიანად და პატივისცემით უნდა მოვეპყრათ.

საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გაბატონებულ კლასებს არასოდეს არა სჭერიათ ხელში სამშობლოს დროშა, გაბატონებული კლასები იყვნენ და არიან ჩვენში ეროვნების სამარის მთხრელნი.

ოცი წლის წინად ილია ჭავჭავაძე აფხიზლებდა საზოგადოებას, აქცევდა მის ყურადღებას ჩვენი ქვეყნის უსაჭიროესს საკითხებზე და დღესაც იგივე საგანი მოუწესრიგებელი დაგვრჩენია, დღესაც თავში საცემი გვხვდომია სწორედ ის, რაზედაც გვესაუბრებოდა მწერალი ოცი წლის წინად.

სულთამხუთავია ის ზნეობრივი ატმოსფერა, რომლითაც სუნთქავს და რომლითაც სცხოვრობს დღეს ქართველი ინტელიგენცია. ამ სიდუხჭირემ ყველანი შეაწუხა, ყველა ჰგრძნობს, რომ ასეთი სიცოცხლე სიცოცხლე არ არის, არამედ მძიმე, მოწამლულ ჰაერში ყოფნაა; გულში ყველა ნატრობს, რომ საითმე გაიღოს კარი, საითმე გაირღვეს კედელი, რომ გასავალი ჰქონდეს შეწუხებულ ადამიანს, მაგრამ არც კარი იღება, არც კედელი ირღვევა და გული კი უფრო ბოროტდება, აზრი კი უფრო იჩრდილება და ამ საზარელ ყოფნაში სასოწარკვეთილებას ეძლევა ინტელიგენცია.

გადაჰხედეთ ჩვენს ცხოვრებას. თითქოს ეს არის ცეცხლითა და მახვილით მტერმა გადალახა იგიო, ყოველივე აყრილ-დაყრილი, დაშლილი, მოუწყობელი, მოუწესრიგებელია, დააკვირდით საზოგადოებრივ საქმეებს, ყველგან საქმის მაგივრად ქიშპობა, მუშაობის ნაცვლად ნერვიული ეპილეპსიაა. ორი პროგრესიული პარტია, რომელთაც კეთილიც უნდათ ხალხისთვის, კარგიც, ერთმანეთს ჩასჭიდებიან და იქაც კი, სადაც არავითარი მიზეზი არ არის განხეთქილებისა, უნაყოფოდ საცოდავად ჰფლანგავენ ერთმანეთის გაჯიბრებაში ისეთ ძვირფასს განძს, როგორიცაა ადამიანის სულიერი ძალა. და ყველა ამაში, ამ ტრაგედიაში, სავაგლახო ის არის, რომ ბოლო არ უჩანს დაუსრულებელ დავას, დაუსრულებელ ყოფნას მოშხამულ სარდაფში. ბოლო არ უჩანს გაბოროტებულ და თითქოს გაველურებულ ადამიანთა საცოდაობას.

## სად და როდის იომობდა შოთა რუსთაველი? *)

ცნობები, ამოკრებილი არჩილ მეფის ხელში მყოფ „ქართლის ცხოვრებიდან“ 68 წელს და გალექსილი მის მიერვე თვით შოთას პირით: „მნი და მის შოთა რუსთაველის დროთ საქართველოს დიდებული ნაქნარნი სახელნი, რომელნი სწერია **ცხოვრებასა შინა საქართველოსასა** ვრცელად, აწ შემოკლებით ითქვა ლექსად... სხვა დიდებულობას „ქართველთ ცხოვრება“ მოგითხრობს“ [2].

მე რიტორი ვარ. მიჯნურნი შევამკე.
რის თამარ, დიდი ხელმწიფე, სულ ხმელთა პირსა ნათობდა,
სხვათა მნათობთა უმჯობე, მზესა მით ექამათოდა...,
მძლეველი შორეთ მეფეთა, დამამხობელი მათოდა,
იმხედრა ჰუნეს მეფეთას, ალვირი ეპყრა ძლიერად,
მან ტახტი ხელმწიფობისა შეამკო ხმად მის მიერად,
გაბრწყინვებული განშვენდა სფერო ულრუბლო აერად,
დაიპყრა შვიდივ სამეფო ლის ამერითურთ იმერად,
პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდი, სპერითგან დარუბანდამდის,
ყოვლი კავკასნი, იმერნი, ამერნი ხაზარეთამდის,
მთით გადაქუნით ჩრდილოთ კერძ მპყრობელი სულ ყივჩაყამდის.

1) ეს ნაწილი ჩვენის მოხსენებისა ვერ წავიკითხეთ 23 აპრილს, რუსთაველის ცხოვრების დროს შესახებ გამართულ პაექრობაზე, მოდღლევის გამო.

2) ეს არჩილის „საქართველოს ცხოვრება“ ანუ „ქართველთ ცხოვრება“ დღეს აღარ სჩანს. იგი, ალბად, გადაიწვა აშტარხანში. როგორც ვიცით, არჩილ მეფის აქ დგომისას, მისი სადგური გადაბუგა ცეცხლმა ისე, რომ ძლივს გადაარჩინა თავისი თავი და ნივთ-საგანძურთაგან კი მხოლოდ სამსჭვალი და დაუჯდომელი. მის ხელში მყოფი „ქართველთა ცხოვრება“, ალბად, იყო ის ძველის-ძველი „ქართლის-ცხოვრება“, ანუ მისი პირი, რომელიც იხსენიების მცხეთის სვეტი-ცხოვლის გუჯარში **1546 წლისა.**

**თამარ მეფის ომები**[3])

1. პირველ იომქრა ქვეყანას კარის და კარნი ფოსლისა (ამ ომში შოთას არ მიუღია მონაწილეობა).

2. ქვეყანას პალაკაციოს ძალლისა ხევ წოდებულსა... იქ გაემარჯვა გამრეკელს კახას ძეს... (აქაც შოთა არ ყოფილა).

3. თურქებთან ბრძოლა **შავშეთს:** ხმლით, შუბით, ისრით **ვიბრძოდით... ჩვენ** ხარაჯაცა მოგვციან...

4. დვინის ომში არ რეულა შოთა რუსთაველი.

5. თამარის პირველ ქმარმა რუსთ მეფის ძემ იომქრა პართის ქვეყანასა. შოთა არ რეულა.

6. **გელაქუნის** მოოხრება თამარის ლაშქართაგან:

აწცა შეჰყარა დიდძალი, სიმრავლე სპათა...
თამარის სპათა ლომგულთა აღიმსთვეს...
ზედან მიუხდეს კისკასად... ამოსწყვიტეს.
**მოვედით** მეფის წინაშე, **გვიქებდა** ყმათა ძალებთა.

7. განძას და მთასა მასისასა
მუნცა **გადაგვხდა** ჩვენ ომი ძლიერი..,
**გავაქციეთ** და **მივყევით** სახლ-საჯინიბო-ახურთა.

8. რუსთ ბატონიშვილის განძება [4])
მიჰბაძა ქმარმა ევასა, გავარდა სამოთხისაგან,
შესცოდა მზესა მზეთასა...
ექსორია ყვეს პატრიაქთ ქვეყნით ერთსულთა ქართველთა.
რაღა **გვმართებდა** მის მეტი შევაბაზე ჭირთა დამრთველთა ..

**9. ნიალის ველს ბრძოლა ამერიმერთა** *)
იმერნი განუდგნენ თამარს. შეიკრიბნენ გეგუთს.
მოიყვანეს ექსორიობიდამ რუსი, გაახელმწიფეს,
წამოვიდნენ, „დასწვეს ქართლი, მოარბიეს“,
გარდიარეს რკინის-ჯვარი, დადგნენ ციხე-ჯვარს,
ოზრხე დასწვეს, დაასკნეს ალება ჯავახეთისა,
თმოგვისა, თრიალეთ, ახალქალაქის.
თამარის ბრძანებით შეიყარა ამერეთის ლაშქარი.
დადვეს თავი პატრონისთვის თამამად და უშიშარათ:
**ადრე დავსთმე თავი ჩემი** პატრონისთვინ მოსახმარათ
მეცა, მათი თანმხლებელი, ვერა მიყო უში შარათ.
აიღეს დროშა სვიანი მაღალი გორგასლიანი
მას სპათა ღმერთსა ვედრებდა თამარ ნათელი მზიანი“!
„უფალმა ჩემმა მიჩვენოს, ყმანო, ნუ თქვენი ზიანი“.
**გავლეთ, მოვედით** ჯავახეთს. თამარ თბილისს დგა სვიანი.
**ჩვენ** იმედი გვაქვს სიმხნითა, მერმე თამარის სვისაგან,
შეიქმნა ომი ფიცხელი იმერთა ამიერთაგან.
იყო სროლა და ყივილი აფხაზთა, მუნ მეგრელთაგან,
იმ დღეს სიღამემ გაგვყარა, ევნეს იმათსა ჩვენთაგან.
ნახეს სიქველე ჩვენ კერძი, შეკრბეს იმ ღამეს, არჩიესიქ ომი ველარ გაბედეს, მთას ასვლა გამოარჩიეს
. . . . თამარის მონათ მათ სძლიეს ..
გავედით ხიდსა მტკვრისასა, მივყევით, დევნა ვუყავით.
ნიალის ველსა ვეწიეთ, შუბები ხორცთა ვუყავით
ხინგარის წყალზე მიმწევთა ჩვენ ჯარი არ გავუყავით
. . . . . . . . . . . . . . .
**მოვედით** გამარჯვებულნი წინაშე ვის მზე იმზევსა.

10. კოლას ბრძოლა (შოთა არ რეულა).

11. ლაშას ბედზე გალაშქრება და გამარჯვება.
ლაშას ბედზედან ვილაშქრეთ და მოვარბიეთ ბარდავი*),
ციხე-ქალაქი ავიღეთ, გამოგვითხოვეს არ დავი...
ამას შუა არც თვე ერთი გამოსულა, ეს ვილაშქრეთ,
მსწრაფლ **წავედით** აზრუმსა და კარისაკენ თავნი ვარეთ,
მოქალაქეთ ციხის მცველთა ყოფა დიად გავუმწარეთ...
გამარჯვებულნი **მოვბრუნდით** თამარის წინა...
მოვედით მზესა მეფესთან, ვის ჰქვიან სხვა შარიერი,

12. გალაშქრება რახსის პირს. შოთა არ რეულა.

3) აღწერა ომებისა სრულია, მაგრამ უადგილობის გამო ჩვენ ვამოკლებთ.
4) 1192 წ.
*) 1194 წელს.
*) 1195 წ.

13. გალაშქრება გელაქუნის პირს გორლა ქვეყანასა. შოთა არ რეულა.

14 ერანის მპყრობელ ბობქართან ბრძოლა.

ეს ბობქარი მოუხდა შირვანს შირვანშაჰ ახსართანს. სძლია. ძლეული გამოაქცია და თამარისაგან შემწეობა ითხოვა. თამარი დასთანხმდა შემწეობა აღმოუჩინა. გასცა ბრძანება მოსულიყო მთელი ლაშქარი. ბობქარმაც ხალიფასაგან ითხოვა შველა. დავით სოსლანმა გაილაშქრა განჯისკენ. შოთაც თან ახლდა. ბობქარ დაამარცხეს, სახალიფო დროშა წაართვეს და გააქციეს. ქართველებს ხვდა დიდი ნაალაფევი. *)

15 ამბერდის ომი შოთას მონაწილეობით.

მივედით ანისს. იგინიც დაგვხვდნენ გზასა და ვიარეთ, ისწრაფდეს მალე მისვლასა და ჩვენცა არ მივუარეთ, გარდავვლეთ გელაქუნის მთა..
გავედით ხაფურის ხიდსა... სულტანი მოკლეს, მუნ ამოსწყვიტეს..**)

16. ბოლოსტიკეს ომი. *) შოთა არ რეულა.

17. ხორასანზე გალაშქრება შოთა რუსთაველის მონაწილეობით. **)
შემოიყარა მეფემა თბილისს...
ანაკოფიას მოღმართი და დარუბანდთა აქეთა,
ხორასან ა და ერაყზე სარბევლად სალაშქრეთა..
ხოროსანს მეფემ ალაშქრა...

**მეც მათთან ვახლდი,** ვიშოვნე მრავალი... **წავედით** ნახჯევნის გზასა. **გავვლეთ, მივედით** ჯულასა... საცა მივედით, შიშითა შეიქმოდიან თრთოლასა. 500-სს რჩეულსა **გვიჩინეს** მთავრად თმოგველი თაყადინ... მარანდ-ს მთაზე ავედით, მარანდელთა გვითვ ლწუნესა, 500 კაცი ვიყავით, გვიმცრეს, მით გვიძაბუნესა. შემოგვიტივეს სასტიკად..., ხუთასთავ შუბი დავასეთ კაცსა და ზოგმა ჰუნესა, ვის შუბი ესვა, დავსტევეთ, სხვათ უკან ვდივეთ ხოცადა... მუნით ჩავედით. მივედით ქალაქსა თავრეზის კარსა; განკრთეს და ზარმა აღიღო, თრთოდეს, იტყოდეს: „ვინ არსა?“... აქათ ვიარეთ წასულთა, ყაზმინს მივედით დღე შვიდსა. ვერ წინ-აღგვიდგეს, ივლტოდეს, არ ჩვენ ვყოფთ მათ დასამშვიდსა... ასე ვიარეთ ეს გზობა ვერავინ წინ ვერ აღგვიდგა, ვერ ხორასნისა სულტანი, ვერ ერაყისა მოგვიდგა, ქალაქნი გამაგრებულნი და ვერცა ციხე დაგვიდგა... იქითგამო წამოვედით ღვთითა ესრეთ გამარჯვებით, საშოვრითა ურიცხვითა, სიხარულით, ლხინით, შვებით... რა მივედით თბილისს ქალაქს, მეფე დაგვხვდა მხიარული, დაგვიმადლა გამარჯვება, ეზოგ გრძელი სიარული, ბუკ-დუმბულთა ზარისაგან აღარ იყო თვალთა რული. დაჯდა ტახტსა, მივულოცეთ. მოვიდნენ ყოვლნი თავადნი, დასხდნენ მის წესით სელებსა... შვება სამუდმო შეიქმნა. მეფე ზის პირ-შვენიერი...

18. დიდოთ განდგომა და თამარის მიერ მათზე ლაშქრის გარეკა. შოთა არ რეულა ამ ლაშქრობაში.

**თამარის გარდაცვალება.**[1])
მზე ულრუბლო დაგვიბნელდა,
მოწმენდილი აწ ბინდ არი:
სვე-სვიანი გარდიცვალა,—
მწუხარება ჩვენზედ არი,—
მაშინ მყოფთა ყოვლთ პატრონთა
უმჯობესი, არვის მდარი.
არვინ დაჯდეს მის ტახტზედა
იმისთანა, იმის დარი...
ა საჩინო დაგვეფარა,
ვაი, ჯავრი სამარისა!?
ბრალი იყო წასახდენლად
პირი მინა თამარისა!

საყვედური შოთასადმი ზოგიერთ ლაშქრობაში მონაწილეობის მიუღებლობისა გამო:
რუსთაველო,
ბასიანის ომი [2]) რომ სთქვი, იქ სად იყავ თქვენ მაშინა? თამართან არ იბღუნძოდი ოძრახვსა, ვითა შინა! რა გინდ ბევრი ყოფილიყვნენ, აგრე როგორ შეგეშინა? ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა თუ სიმხდლემ აგაქშინა! შენ ეგ რას გიშლის ლექსის თქმას! გვერდს უზი, ვინ მზეს მწუნარობს, გევხარ ბულბულსა ვარდისას: ჩივსა ჯდეს, ჰიკჰიკს მგონარობს...

ეს შოთა, „თამარ დიდის ბრძანებით“ ვეფხის-ტყაოსნის დამწერი, ჩვენ გვეგულება იმ შოთა მოლარეთუხუცესად, რომელიც თამარის მანდატურთ-უხუცეს და ამირსპასალარ ჭიაბერთან ერთად მონაწილეობას იღებდა შანქორის ლაშქრობაში [3]) და რომელმაც თამარს ახარა ბრწყინვალე გამარჯვება ბუბაქარზე და ხალიფას დროშას დატყვევება. იგინი თითქოს ის ჭიაბერი და შოთაა, რომელნიც ამტკიცებენ თავიანთ ხელრთვით შიომღვიმის ტყავზე დაწერილი გუჯარს: ჭიაბერი ხელს აწერს შემდეგ მეფისა (თამარისა?), ხოლო შოთა შემდეგ კათალიკოზისა. [4])

„ჩემსა ქონოვნის ქონებასა შინა ვჰკადრე და მოვახსენე ქუთისა სწორსა მეფეთ მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგახსენე შენ წმიდასა მამასა შიოს...“ სწერს მანდატურთ უხუცესი და ამირსპასალარი ჭიაბერი.

შოთას ხელმოწერა:

„ქ. მე შოთაი ჩემს ქინოვნის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ ვითა ამას შიგა სწერია“.

თვით თამარს აქვე ქინვან ჰქონდა საზაფხულო სასახლე.

მ. ჯანაშვილი.

*) 1195 წ.
**) 1196 წ.
*) 1203 წ.
**) 1210 1211 წ.
1) 1213 წ. 18 იანვ.
2) 1203 წ.
3) 1195 წელს.

4) ყველა ეს ხელმოწერილობანი იხ. პალეოგრაფიულს ტაბულებში „Царица Тамара“-ს ბოლოს.

## ბიბლიოგრაფია

М. Н. Ильина, Поѣздка въ Сванетію, СПВ. 1913 г. გვ. 115; Борисъ Эсадзе—Лѣтопись Грузіи. Юбилейный сборникъ къ 300 лѣтію царствованія Дома Романовыхъ, Державныхъ Покровителей грузинскаго народа. 1613—1913 г. В. I. Изд. кн. П. I. Туманова, გვ. 1—366.

საქართველოს შესახებ, ჩვენი წარსულის და აწმყოს შესახებ, ისე ცოტა რამ არის დაწერილი, რომ თვითოეული ახალი შრომა დღესასწაულად უნდა ჩაითვალოს. თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მე კი დიდი ხანია გაფაციცებით თვალ-ყურს ვადევნებ საქართველოს შესახებ ნაწერებს; ყოველთვის აღტაცებით მივეგებები ახალ შრომას. უბედურება ის არის. რომ აღტაცება ხშირად ნაადრევი გამოდგება. ამ გაზეთის ფურცლებზე და სხვაგანაც ყოველთვის გულმოდგინეთ, შეძლების დაგვარად, ვცდილობ აღვნიშნო ახალი ნაწერები. ამჟამად ორი წიგნი მაქვს. ერთი პატარა, მეორე დიდი, ისე დიდი, რომ ჩვენში ამოდენა წიგნები ძლიერ ძვირად გამოდის. რუსის ქალს ქ-ნ ილინას უმოგზაურია სვანეთში, რაც უნახავს და გაუგონია, უბრალოთ აგვიწერს; ალაგ-ალაგ სურათებიც გადაუღია და წიგნში ჩართული აქვს ახალ არაფერს გვეუბნება ქ-ნი ილინა, ეს ყველა ვიცოდით, ჩვენც გვინახავს, გაგვიგონია. საქმე ამაში როდი არის; მხოლოდ იმაში, რას გრძნობდა მოგზაურობის დროს და როგორ ასწერა თვისი შთაბეჭდილებანი ჩვენმა ავტორმა. ბავშური აღტაცებით, უკიდურესი სიყვარულით, თანაგრძნობით აღვსილია წიგნაკი. ავტორი გახარებულია ნახულით და გაგონილით და ამ აღტაცებას უზიარებს მკითხველს. აი ეს კილოა საყურადღებო, და წიგნაკს საჭიროდა ჰხდის. მკითხველი კმაყოფილი დარჩება ამ ლამაზი წიგნაკის წაკითხვის შემდეგ. სულ სხვა სახის წიგნია პ. თუმანიშვილის გამოცემა. პირველი სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე ისმის ბუკ-ნაღარა თოფ-ზარბაზნის სროლა; გუნდრუკის კმევა. არც ბ. ესაძეს, არც. ბ. თუმანიშვილს არავითარი წარმოდგენა არ აქვთ იმის შესახებ, თუ რა ვალდებულება აწევს რედაქტორს. მეცნიერული ხასიათის ნიშანი ამ გამოცემას არ აძევს. ერთი ის არის სამწუხარო, რომ ბ. ესაძეს არ მიუწვევია სამუშაოთ არც ერთი ჩვენი სპეციალისტი მკვლევარი, არც ერთი ჭეშმარიტი მეცნიერი: გამოდის, რომ არც ნ. მარრი არც. ა. ცაგარელი, არც ივ. ჯავახიშვილი, არც ალ. ჯავახიშვილი, არც ექ. თაყაშვილი, არც ი. აბულაძე არ არსებობენ, სჩანს, რომ ბ. ესაძე, ვილაც აკორდი და ბევრი უცნობი ქმნიან ჩვენს მეცნიერულ ისტორიას. კრებულში თავი მოყრილი აქვს ძველის ძველ წერილებს, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც თავის დროზე ჰქონდა. ბ. ესაძის ნაწერები ცარიელი სიტყვების რახარუხის მეტს, უშინარსო, ულაზათოს მეტს არას წარმოადგენს. დანარჩენი ავტორების ნაწერები, მომეტებული ნაწილი არაფრად არ ღირს. აი მაგალითად: ეთნოგრაფიულ განყოფილებაში გადმობეჭდილია ბროკჰაუზის ლექსიკონიდან წერილი ქართველების შესახებ და ამასთან ერთი სიტყვით არ მოიხსენეს, რომ ალ. ჯავახიშვილმა ამას წინეთ დიდი გამოკვლევა უძღვნა ამ კითხვას, რომელიც საპატიოდ დაფასებული იქნა; არც რედაქტორს არ გახსენებია, რომ ჩვენს ეთნოგრაფიას შესანიშნავი წერილები უძღვნა ბ. კოვალევსკიმ, ი. ხარუზინმა, ა. ივანოვსკიმ. ასეთი ნაკლი თითეულ განყოფილებაშია. ერთის სიტყვით ვინც ამ წიგნს გადიკითხავს, დიდ შეცდომაში ჩავარდება. მართლაც ის მეცნიერული ნაბიჯი, რომელიც გადასდგა საქართველოს შესწავლამ აქ აღნიშნული არ არის.

მაგალითად რედაქტორი არსად არ აღნიშნავს ნ. მარრის, გ. ზენეშევიჩის, პროფ. ზაოზერსკის და სხვების კლასიკურ შრომებს. ერთის სიტყვით ახალი გამოცემა მავნებელია, ვინაიდგან აჩვენებს მკითხველს ჩვენს ყალბ სახეს და არა ჭეშმარიტს. ამგვარ გამოცემებს ყოველთვის მიანდობენ გამოცდილი, მეცნიერულად მომზადებულ რედაქტორებს, გ. ესაძეს კი მეცნიერება არ იცნობს. სამწუხარო ის არის, რომ გამოცემისათვის ძლიერ დიდი ფული უნდა იყოს დახარჯული პ. თუმანიშვილმა ჩემზედ კარგად იცის, რამდენად ღარიბნი ვართ, დახარჯული ფულით გამოიცემებოდა მართლა საჭირო და მეცნიერული გამოკვლევა, ეხლა კი ფული წყალში არის გადაყრილი. რამოდენიმე წლის წინეთ ასეთი საყვედური იძულებული ვიყავი მეთქვა პ. თუმანიშვილისათვის. კარგი დასაწყისი ძლიერ ცუდად დამთავრდა. წიგნში ღირსია ყურადღებისა მხოლოდ სურათები, ყვითელ ქაღალდზედ, მართლა მშვენივრად და პირველად აღსრულებული.

**სიმ. ჯვალიანი.**

# წერილი დორპატიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ამას წინად აქ გაიმართა მეათე საიუბილეო ქართული საღამო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: საიმპერატორო სცენის არტისტი ქალი კატულსკის ასული, ჩერქეზიშვილის ასული (პლასტიური ცეკვა, აღმოსავლეთის ჰანგებზე), ვიოლონჩელისტი ილ. აბაშიძე, პროზაროვსკი და სხვა.. შემდეგ გაიმართა ცოცხალი სურათები „ვეფხის ტყაოსნიდან“, „ღალატიდან“ და სხვ...

დარბაზი აღმოსავლეთის გემოზე იყო მორთული, მას ამშვენებდა სტილური კიოსკები. დასასრულს გაიმართა ეროვნული და ევროპიული ცეკვა.

საღამოს ხალხი ჩვეულებრივად აუარებელი დაესწრო და მადლიერი დაიშალა დილით. სხვა და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიულოცეს სათვისტომოს და სიხარულით აღნიშნეს მე-X საიუბილეო ქართული საღამო. მივიღეთ დეპეშებიც საქართველოდან საპატიო ბილეთების ფასად ზოგმა უკვე გამოგვიგზავნა ფული, სათვისტომოს სასარგებლოდ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ გვარებს არ ვაქვეყნებთ, რადგან ფულის მიღება ჯერ არ შეუწყვეტნიათ და ზოგ გულშემატკივართაგან კიდევ ველოდებით ასეთ დახმარებას.

მომავალ სექტემბერში განზრახულია ვიდღესასწაულოთ 15 წლის თავი დღიდან სათვისტომოს დაარსებისა. ქ. დორპატში. დღესასწაულს საზეიმო ხასიათი ექნება და სტუდენტთა სხვა და სხვა ორგანიზაცია საგანგებოდ იქნება მოწვეული. წაიკითხავენ წრის არსებობის ისტორიას მილოცვებს, ადრესებს და დეპეშებს.

არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე არსებული სამეცნიერო წრე რიგიანად მუშაობს: ყოველ შაბათს იმართება მოხსენება. ჯერ-ჯერობით მომხსენებელნი იყვნენ: ამხ. კვირკელია, გელოვანი, ბერიძე, ქაბუკიანი და სხვ... მოხსენების შემდეგ იმართებოდა საინტერესო კამათი.

# ბალკანეთი და სახელმწიფოები

**ავსტრია-იტალიის ექსპედიცია.**

პეტერბურგის დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ სკუტარის კრიზისი გათავდა, რის გამოც ავსტრია-იტალიის მიერ განზრახული სამხედრო ექსპედიცია აღარ გაიგზავნება ალბანეთში.

**ალბანეთის ავტონომია.**

იქიდანვე იტყობინებებიან, რომ ელჩთა ლონდონის კონფერენციამ წინადადება მისცა ავსტრიასა და იტალიას, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში წარმოადგინეთ ალბანეთის ავტონომიის პროექტიო.

**სერბია-ჩერნოგორიის შეერთება.**

პეტერბურგის პოლიტიკურ წრეებში ელიან, რომ დღე დღეზე სერბიისა და ჩერნოგორიის სკუპჩინები სერბია-ჩერნოგორიის ფორმალურ შეერთებას გამოაცხადებენო.

**სკუტარიდან გამოსვლა.**

ვენიდან იუწყებიან, რომ, ცეტინიედან მოსულ ცნობათა მიხედვით, ჩერნოგორიის ჯარი 25 აპრილს დასტოვებს სკუტარის ციხეს. ამბობენ, რომ ნაწილი ჯარისა უკვე შინ გაუშვესო. ამ ამბავმა დიდი გაცხოველება გამოიწვია ბირჟაზე, ქაღალდების ფასმა დიდად აიწია.

**სერბია და ალბანეთი.**

სერბიის ჯარის უკანასკნელმა რაზმებმა უკვე დასტოვეს ალბანეთის ტერიტორია. სერბიის ჯარის მთავარსარდალი გულმხურვალედ გამოეთხოვა ესად-ფაშას. სერბიელების წასვლის შემდეგ, როგორც ხმაა, დურაცოსა და ალესიოში ოსმალეთის დროშა აღმართეს.

**ოსმალეთი და საბერძნეთი.**

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთმა საჩქაროდ დასდვა საბერძნეთთან დროებითი ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც ოსმალეთის ჯარს საბერძნეთის გემებით გამოიყვანენ ალბანეთიდან. სარწმუნო ადგილებში ამტკიცებენ, რომ სულთანისაგან ტახტზე გადადგომა გადაწყვეტილ აქტად უნდა ჩაითვალოსო.

**მოკავშირეთა უთანხმოებანი.**

გამოირკვა, რომ რუსეთმა იკისრა მედიატორეობა სერბია-ბულგარეთს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებისა. მისი გადაწყვეტილება ორივე მხრისათვის სავალდებულო იქნება. ამბობენ, რომ ამ დავაში რუსეთი სერბიის მხარესაა. ამ გარემოებით აიხსნება ისა, რომ ბულგარეთმა თვისი პოლიტიკა ავსტრიისკენ მიმართა.

**რუსეთის აზრი.**

ავსტრიისა და იტალიის მიერ ალბანეთის ოკუპაციის ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგში. რუსეთის დიპლომატიას ვერ დაუჯერებია ასეთი რამის შესაძლებლობა. მისი აზრით, ამგვარი ოკუპაცია ორი სახელმწიფოს დამოუკიდებელ მოქმედების მომასწავებელი იქნება, რაც ევროპის კონცერტს დაარღვევს. დიპლომატები ამ გარემოებას საცდელად გავრცელებულ ხმად სთვლიან.

**გერმანიის როლი.**

ვენის სარწმუნო ადგილებიდან იუწყებიან, რომ ალბანეთის ეგრე წოდებულ „დამშიდების“ გეგმა ბერლინსა და რომში შემუშავდა, ვენა მხოლოდ შემდეგ მიემხრო მას. გერმანიის საზღვაო ავტორიტეტებმა დაარწმუნეს ავსტრია, რომ მისი თვალსაზრისი ვალონის შესახებ მოძველებულია და ამ პუნქტში იტალიის დამკვიდრება არავითარ საფრთხეს არ უქადის ავსტრიის ფლოტს. იტალია გადაჭრით უკარნახებს საბერძნეთს ალბანეთის სამხრეთ საზღვრებს, მიუხედავად ელჩთა კონფერენციის დადგენილებათა, ხოლო ავსტრია არა ნაკლები სიმტკიცით დაუწყებს ლაპარაკს სერბიას. ამ რიგად, ელჩთა კონფერენციის დადგენილებანი სრულიად გაბათილდებაო.

**ბულგარეთის აზრი.**

სოფიის პოლიტიკურ წრეებში გულ-ახდილად ამბობენ:

ბულგარეთს არ მოსწონს ჩერნოგორია-სერბია-ალბანეთის დაწყებულება. ავსტრიის საწინაამდეგო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებას ბულგარეთი არა ჰფიქრობს, მაგრამ გასაკვირველი არ იქნება თუ განსაკუთრებულ პირობებში საკუთარი ინტერესების დაცვამ ბულგარეთს აიძულოს საქმეში ჩარევა, თუმცა წინდაწინვე გათვალისწინება ამ ჩარევის ხასიათისა ყოვლად შეუძლებელიაო.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული ოპერა.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ქართულ თეატრში დღეს ფილარმონიული საზოგადოება მართავს კონცერტს, რომელშიაც, სხვათა შორის, ზ. ფალიაშვილის ოპერის ერთს აქტსაც წარმოადგენენ. ოპერაში მონაწილეობას იღებენ: გოფმანი (აბესალომ მეფე), კოლოტოვისა (ეთერი), კოვალენსკისა (ნათელა), პრესინსკაია (მარიხ ვარსკვლავი), დუელი (მურმანი), აგასოვი (ბელიარ ეშმაკი). მესამე განყოფილებაში შეასრულებენ კლენოვსკისა, ყარაშვილისა და ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებებს. საკონცერტო განყოფილებაშიაც იმღერებენ სხვა და სხვა ადგილებს ოპერიდან. სხვათა შორის შეასრულებენ საინტერესო კვარტეტს და აბიო მეფის დიდებას.

**სახალხო სახლი.** ქართ. სახალხო წარმ. მმართ. წრე 28 აპრილს სდგავს ლეონიდ ანდრეევის პიესას „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“-ს. ამ დღეს უნდა წარმოდგენილიყო „შეშლილები“ ტრ. რამიშვილისა და წრისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო გადაიდო შემდეგისათვის. ადგილების ფასები 5 კ. 50 კ.-მდე.

3 მაისს წარმოდგენილი იქნება „მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა, ავტორის მიერ ახლად გადაკეთებული ორ მოქმედებად.

**დ. ოზურგეთი.** ვლადიმერ მესხიშვილის საიუბილეო დღესასწაული გაიმართება 4 და 5 მაისს. დადგმული იქნება „და-ძმა“ და „სამშობლო“.

**გორი.** სამშაბათს, 23 აპრილს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართა საინტერესო ორიგინალური **სალიტერატურო-სამუსიკო საღამო.** როგორც კიტა აბაშიძეს, ისე მის, საინტერესო ლექციას „ლ. ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე“ საზოგადოება ოვაციებით შეეგება. ოვაციებითვე შეეგებნენ ჩვენ სახელოვან ბელეტრისტს დ. კლდიაშვილს, თ. რაზიკაშვილს, კომპოზიტორს სულხანიშვილს და სხვა მოიწონეს აგრეთვე ახალგაზრდა მომღერალი შაშიაშვილი, ი. მჭედლიშვილი, ნიკო გოცირიძე. საღამომ კარგად ჩაიარა.

# დეპეშები

**დეპეშათა პეტერბ. სააგენტო**

25 აპრილი.

**ბალკანეთის ომი**

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“ უარჰყოფს ცნობას, ვითომც გენერ. ლი ბოიოვიჩი ესად ფაშას ჯარში იმყოფებოდეს. ბოიოვიჩი შტაბის უფროს პავლოვიჩთან ერთად სალონიკში მოვიდნენ.

სკუპშჩინამ ხმის უმრავლესობით მიიღო კანონ-პროექტი ახალი რკინის გზების გაყვანის შესახებ.

**ომი და სახელმწიფონი**

**ლონდონი.** ქვედა პალატაში მსჯელობდნენ ბალკანეთისა და კერძოდ ალბანეთის საკითხებზე. უნიონისტმა ანსონმა წინადადება შეიტანა: იყიდოს ჩერნოგორიამ ალბანეთისაგან სკუტარი. ლიბერალმა ბრაისმა სთქვა: გაჭირვებულ მდგომარეობაში გრეის დიდი დახმარება გაუწიეს არაჩვეულებრივი გაფრთხილებით რუსეთმა და ავსტრიამ, რის მეოხებითაც საკითხი მშვიდობიანად გადასწყდა, გრეის ნაცვლად, რომელიც ელჩთა კონფერენციის სხდომაზე იმყოფებოდა, ილაპარაკა იკლენდმა. მოლაპარაკის აზრით, ბალკანეთის მეგობარ სახელმწიფოთა მდგომარეობა თუ კავშირს არა, კოოპერაციას მაინც წარმოადგენენ; მათი დევიზი იქნება ურთიერთთა პატივისცემა, აყვავება და გაფურჩქვნა მოკავშირე სახელმწიფოებისა. ევროპას შეუძლიან თავის თავს მიულოცოს მშვიდობიანი გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რომელნიც ალბანეთის დამოუკიდებლობას ხიფათს უმზადებდნენო. ეხლა ერთად-ერთი საზრუნავი საგანი გვექნება, ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებთან ერთად უზრუნველვყოთ ალბანეთის დამოუკიდებელი არსებობა. რასაკვირველია, ალბანეთი დაჰკარგავს იმ ქალაქს, რომლისკენაც იგი ხელს იწვდის, სამაგიეროდ მიიღებს იმ ქალაქებს, რომლის ხელში ჩაგდებას სხვა სახელმწიფონი ჰლამობენ. ჩერნოგორია და მისი მოკავშირე სახელმწიფონი მიიღებენ ახალ ოლქებს, რომელნიც საკმაოდ გააფართოვებს მათს მიწა-წყალს. სკუტარის ბედი სახელმწიფოთა შეთანხმებით უკვე გადაწყვეტილია.

**ლონდონი.** ელჩთა კონფერენციის სხდომამ 2 ნახ. საათს გასტანა. შემდეგი კრება 7 მაისს მოხდება, თუ გაუმჯობესებული მდგომარეობა არ შეიცვლება.

**ვენა.** „ნეიე ფრეიე-პრესე“ სწერს: ესად-ფაშას სიძეს სურეა ბეის უთქვამს: ესად-ფაშას არავითარი პირობა არ დაუდვია ჩერნოგორიასთან ალბანეთის საზღვრების თაობაზე; იგი იძულებული იყო სკუტარი დაეთმო ჩერნოგორიისთვის სანოვაგის უქონლობის გამო. იგივე გაზეთი იუწყება მომავალ ალბანეთის სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების პროექტს. უმთავრესს საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო ჟანდარმერიის დაარსება უცხოელთა მონაწილეობით, განსაკუთრებით ავსტრიელთა და იტალიელთა ოფიცრებისა. საჭირო წყარო ალბანეთს უნდა სესხმა აღმოუჩინოს, რომელსაც იტალია და ავსტრია-ჰუნგრეთი მისცემს. მართლმსაჯულების წარმოება ეგვიპტის გვარად უნდა მოეწყოს.

**ქარიშხალი.**

**ათინა.** ორი დღის განმავლობაში ქარიშხალი მძვინვარებდა. ამან დიდი ზიანი მიაყენა მცხოვრებთ. განსაკუთრებით ზღვაზე იყო საშინელი. ლევსკასის მახლობლად დაზიანდა ეპ-რი ან მომავალი საბერძნეთის გემი 300 ჯარის-კაცით. სამი კაცი დაახრჩო. კორფთან დაზიანდა ინგლისის გემი „ლედი-სენდერი“; დაიღუპა ერთი კაცი.

**კალიფორნიის კანონ-პროექტი.**

**ტოკიო.** პრემიერმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა მოუწოდეს თავდაჭერილად განეხილათ კალიფორნიის კანონ-პროექტი. მოწოდებამ ნაყოფი გამოიღო. პრესა დაწინაურებულად ჰსწერს კალიფორნიის კანონ პროექტის თაობაზე.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ნაწილი სადამოჟნო ტარიფის კანონ-პროექტისა. შემოსავლისდაგვარი გადასახადი [illegible] ლად დასტოვა.

**მუკდენი.** მანჯურიის პროვინციალური საბჭოები სესხის აღების წ[...] ნაამდეგ პროტესტს აცხადებ[...] საზოგადოებრივი აზრი და პრეს[...] ჰკიცხავს იუანშიკაის კონსტიტუ[...]ციის დარღვევის გამო. გირინის [...] მუკდენის დუდუები თანამდებობიდ[...] გადადგნენ.

**პარიზი.** ჰუანკარემ ალფონს მეფ[...] პატივსაცემლად სადილი გამართ[...] ესპანიის მეფე იწვია პალატებ[...] პრეზიდენტებს, მინისტრებს [...] სხვათ. მეფე გარეშე საქმეთა სამინ[...]სტროში გაემართა.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** შინაგან საქმე[...] სამინისტროს შეაქვს მინისტრთა ს[...] ბჭოში კანონპროექტი ერთნახევა[...] მილიონი მანეთის გაცემის შესახ[...] შავ ჭირთან მებრძოლ კომისი[...] სასარგებლოდ. აღნიშნულ კრედ[...]ტიდან ამავე მიზნისთვის ერობებ[...] და ქალაქებს გადაეცემა მილიონ[...] მანეთი.

**პეტერბუგი.** სამედიცინო საბჭო[...] მიერ შემუშავებული საათიაქ[...] ნიხრის დამატება ძალაში შედ[...] ევროპის რუსეთში, კავკასიასა [...] ამიერ კავკასიაში 15 მაისიდან, ცი[...] ბირში და შუა აზიის ადგილებში 1[...] ივნისიდან.

**პეტერბურგი.** სამარაში ქალთ[...] უმაღლეს საპედაგოგიო კურსებ[...] დაარსების საკითხი უკვე გადაწყვე[...]ტილია. კურსების წესდების დამტკი[...]ცებას დღე-დღეზე მოელიან.

**კიშენევი.** ბესარაბიიში მივიდ[...] პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტ[...] იონესკო. მას განზრახვა, აქვს ფეხი[...] მთელი დედამიწის ზურგი შემოია[...]როს. ჯილდოდ მიიღებს 400.00[...] ფრანკს.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭო[...] უყურადღებოდ დასტოვა ფინლან[...]დიის მორიგი სეიმის უკვეშევრდო[...] მილესი ადრესი ფინლანდიის პოლი[...]ტიკურ მდგომარეობის თაობაზე.

**კიევი.** შეიპყრეს საერთაშორისო აფერისტი სავინი.

**პეტერბურგი,** მინისტრთა საბჭომ[...] თანახმად სახელმწიფო კონტრო[...]ლიორის აზრისა, შეუძლებლად სცნ[...] მართმადიდებელ სამღვდელოებ[...] ნივთიერი უზრუნველყოფის კანონ[...] პროექტის შემუშავება იმ დებულე[...]ბაზე, რომელიც სათათბიროს 13[...] წევრმა წარმოადგინა.

# წერილ. რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გაახლებთ [...] ხუთს მანეთს, გთხოვთ მიუმატოთ [...] თანხას, რომელიც გროვდება ჩვენ[...] დიდებული ბელადის არჩილ ჯორჯა[...]ძის ძეგლის ასაგებად.

**განო გიუნაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**

---


# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ს. ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 39 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები: 1, 2—9 მ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 ი. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთაბარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# განცხადებანი

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე.** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^{1/2}$ საათ. კახეთის ქ., № 6.

**დოქტორი მედიცინისა**

**გ. ა. ახვერდოვი,**

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

**კბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12 1334

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. შიოსკოვის ქუჩ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის** მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.



ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მექანიკური ნაწარმოები. 170.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას „ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“**

**ი. გ. ავალიშვილის** ნათარგმნი.

**დაკვეთა შეიძლება: ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **ბაქოში** მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში. **შორაპანში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„**ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში**“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 110

**განსაკუთრებით ქალების სამრთო**

# ა ხ ა ლ ი ა ბ ა ნ ო

ბუნებრივი გოგირდის წყალი, ორი ცხელი ვანით, სავენტილაციოთ ელექტრონის განათებით და ყოველგვარ ახალ სატეხნიკო მოწყობით. ფასი შაურიდან სამ შაურამდე. ვორონცოვის ქუჩაზე, მარჯვნით სუფ-სარქისის შესახვევი, მეხუთე საპოლიციო ნაწილის პირდაპირ, № 4.

**ა. ბ. მურსაქულოვისა.** 240

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (ასტრ.) ზიზილალა

**ძმ. ძეგველოვები.**

თევზის მრეწველნი

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი

**კ ო ნ ს ე რ ვ ე ბ ი.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი ს[...] მრეწველობიდან ახალი თევზი, ხიზილ[...]ლა, (ქიტკა), ორაგული, თართ[...] ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრ[...] თვე ყოველ დროს იყიდება მაღაზია[...] **მოხარშული დოში, ზურგილი,** და ყოველგვარი

**გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი“** დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ., ფასი 30 კაპ.


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.